# ბიბლიოფილი

ბიბლიოთეკების, ინფორმაციისა და კულტურის ცენტრის
საინფორმაციო ორგანო

№1 (84) იანვარი 2018 წელი
სპეციალური გამოშვება

პატრიარქის აღსაყდრების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი სადამო "ციცინათელების ლოცვა", 2017 წ.



შინდისის წმ. თამარ მეფის სახელობის დედათა მონასტრის ეზოში, არქიმანდრიტ ადამთან და შესარიოწ მარშანიასთან ერთად, 14 მაისი, 2015 წ.

წიგნის „უფალი სუფევს, მფვენიერებაა შეიმოსა" პრეზენტაციაზე, 2016 წ.

დედის დღის აღნიშვნა საპატრიარქოში. 2012 წ.

დიმიტრი გულიას დაბადების დღის აღნიშვნა ქვაშვეთის ტაძარში, 2009 წ.

შეხვედრა ქეთევან ბაგრატიონისა და ლელიო-ნიკოლოზ ორსი-ნის საქველმოქმედო ღონისძიებაზე თბილისში, 2008 წ.

იმედისა და ხსოვნის დღე. წმ. სამების საკათედრო ტაძარი. 27 სექტემბერი, 2014 წ.

შეხვედრა მერი დავითაშვილთან, ანა კალანდაძესა და ზინაიდა კვერენჩხილაძესთან,2008 წ.

# გამოსათხოვარი



სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

0114, თბილისი, მეფე ერეკლე II-ის მოედანი 1
ტელ.: (995 32)2990378, 2989540; ფაქსი:2987114

CATHOLICOS-PATRIARCH
OF ALL GEORGIA

1, King Erekle II sq. Tbilisi, 0114
Tel.:(995 32)2990378, 2989540; Fax:2987114

ქალბატონ სვეტლანა ქეცბას ოჯახის წევრებსა და ახლობლებს

დიდად ვწუხვართ ქალბატონ სვეტლანას გარდაცვალების გამო. წავიდა ჩვენგან ღვთისა და მოყვასის წინაშე ვალმოხდილი ქალბატონი, გულანთებული ქართველი, ქართველთა და აფხაზთა შორის მეგობრობის აღდგენის ხელშემწყობი ერთ-ერთი ძლიერი ძალა.

აღვავლენთ ლოცვებს მისი უკვდავი სულისათვის, რათა უფალმან საკანესა მართალთასა დააწესოს იგი, ხოლო თქვენ მოგანიჭოთ მშვიდობა.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ

პატივისცემით,

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

***

ქალბატონი სვეტლანა ქეცბა, ისევე როგორც აფხაზეთში მცხოვრები ნებისმიერი აფხაზი და ქართველი, აღმოჩნდა მსხვერპლი დიდი ბოროტებისა. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ ბრძანა, რომ კონფლიქტი აფხაზეთში იყო ბრძოლა არა ქართველთა და აფხაზთა შორის, არამედ ქართველთა და აფხაზთა ერთობის, ძმობისა და მეგობრობის წინააღმდეგ. ღმერთის წინააღმდგომმა ბოროტმა ძალამ შეძლო ამ კონფლიქტში ჩვენი ჩათრევა, მან გვაცდუნა, როგორც ქართველები ისე აფხაზები და ამას მიაღწია მთელი XX საუკუნის მანძილზე ჩვენში ქრისტიანული სულისკვეთების შესუსტებით.

ამ უმძიმესი წნეხის პირობებში იყვნენ ისეთი გამორჩეული ადამიანები, ვისთვისაც ქართველთა და აფხაზთა ერთობა იყო ხელშეუხებელი და ურღვევი. ასეთი პიროვნებების სახით ეს ერთობა დღესაც აგრძელებს თავის სიცოცხლეს და არის საფუძველი საყოველთაო შერიგებისათვის. ასეთ პიროვნებათა შორის გამორჩეული ადგილი უკავია ქალბატონ სვეტლანა ქეცბას.

მინდა გადმოგცეთ მისი უწმინდესობის დიდი მწუხარება ქალბატონ სვეტლანას გარდაცვალების გამო მისი ოჯახის წევრებს, შვილს, დას, დისშვილებს, ასევე მისი დიდი ოჯახის, აფხაზეთის საზოგადოების წევრებს, ხელისუფლებას, ინტელიგენციას, ახალგაზრდობას, როგორც დევნილებსა და ლტოლვილებაში, ასევე აფხაზეთში მყოფ აფხაზებსა და ქართველებს.

ჩვენ პატრიარქს გუშინ აღსაყდრებიდან 40 წელი შეუსრულდა. ის, რაც მისმა უწმინდესობამ აღასრულა ამ ოთხი ათეული წლის მანძილზე, აღემატება ადამიანის შესაძლებლობებს. ეს ყოველივე მან უფლის სასწაულებრივი შეწევნით განახორციელა. ჩვენს პატრიარქს სჯერა, რომ ასევე ღმერთის სასწაულით აღდგება ქართველთა და აფხაზთა ერთობა. ამ საქმეში მისი უწმინდესობა თავის გამორჩეულ თანამოაზრედ და თანამებრძოლად თვლიდა ქალბატონ სვეტლანას, რის გამოც დააჯილდოვა კიდეც იგი საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი - წმინდა გიორგის ოქროს ორდენით.

პატრიარქი ხშირად გვახსენებს, რომ ჩვენი ერის სულიერი გამთლიანების გარეშე შეუძლებელი იქნება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. აფხაზეთი წმინდა მიწაა. აქ დაკრძალულია სვიმონ კანანელი, თორმეტ მოციქულთაგან ერთ-ერთი, აქვე დაიკრძალა IV საუკუნის უდიდესი წმინდანი იოანე ოქროპირი. ამ მიწაზე განისვენებს საქართველოს გამაერთიანებელი მეფე, აწ უკვე წმინდანად შერაცხული ბაგრატ III. აქ მოხდა წმინდა იოანე ნათლისმცემლის თავის მესამედ პოვნა. წმინდა მიწაზე მშვიდობის აღდგენა ხელეწიფება მხოლოდ სიწმინდით მცხოვრებ საზოგადოებას.

მძიმეა დევნილთა და ლტოლვილთა ხვედრი, მაგრამ არანაკლებ მძიმეა აფხაზეთში დარჩენილი მოსახლეობის მდგომარეობა. ისინი ვერ იპოვიან სიმშვიდეს, სანამ არ აღდგება ქართველთა და აფხაზთა ერთობა. რაც დრო გადის, სულ უფრო მეტი აფხაზი ხვდება ამას, მაგრამ პოლიტიკური ზეწოლის გამო ხმამაღლა ერიდებიან თავისი შეხედულების გამოხატვას. ამ ერთობის აუცილებლობის რწმენა ყოველდღიურად ძლიერდება და ქართულმა მხარემ ხელი უნდა შეუწყოს ამ განწყობის განმტკიცებას.

სწორედ ამ რწმენის განმტკიცებას ემსახურებოდა ქალბატონი სვეტლანა. უანგარო სიყვარულზე დაფუძნებული მისი მოღვაწეობა დიდ სულიერ ძალას ანიჭებდა როგორც ქართველებს ისე აფხაზებს. აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრი, რომელსაც ბოლო წლებში ხელმძღვანელობდა ქალბატონი სვეტლანა იყო ჭეშმარიტი ოაზისი ქართველთა და აფხაზთა ერთობისა, ძმობისა და მეგობრობისა. მის მიერ გამართული საღამოები იმდენად ამაღლებული, შთამაგონებელი და იმედის მომცემი იყო, რომ იქ დამსწრე საზოგადოებას გვავიწყდებოდა დევნილობისა და ძმათა შორის ჩატეხილი ხიდის სიმწარე. თუ ეს სული, ეს განწყობა და რწმენა გაძლიერდება, ვერავითარი ძალა ვერ დაუდგება ქართველთა და აფხაზთა შორის ურთიერთობის აღდგენას. ის რაც ქალბატონმა სვეტლანამ გააკეთა, კიდევ მრავალ ნაყოფს გამოიღებს მომავალში. მე მინდა ვუსურვო მის უკვდავ სულს, რათა უახლოეს მომავალში ეხილოს მშვიდობიანი ცხოვრების აღდგენა აფხაზეთში.

უფალი ბრძანებს „შეუძლებელი კაცთაგან, შესაძლებელია ღვთის მიერ“. ქალბატონი სვეტლანა ბრძანდება ჭეშმარიტი სულიერი შვილი ჩვენი პატრიარქისა. იგი თავის მსახურებას, სწორედ ღვთისა და ეკლესიის ძალითა და კურთხევით აღასრულებდა.

მეტად სიმბოლურია, რომ ქალბატონი სვეტლანას დაკრძალვა დაემთხვა პატრიარქის აღსაყდრების მე-40 წლისთავის მეორე დღეს. გუშინ ჩვენ მოვისმინეთ მისი უწმინდესობის საგანგებო ლოცვა-კურთხევა იმის შესახებ, რომ საქართველოში უნდა დაიწყოს ახალი ეტაპი ერის სულიერი გამთლიანებისა, სამწყსოს დედა ეკლესიის წიაღში დაბრუნების, სინერგიული ცხოვრების წესის აღდგენისა, ანუ ღვთაებრივი და ადამიანური ძალების გაერთიანებისა.

ქალბატონმა სვეტლანამ თავისი დაკრძალვის დღეს დედა ეკლესიის წიაღში ერთად შეგვკრიბა ქართველები, აფხაზები და სრულიად საქართველოს საზოგადოება და კიდევ ერთხელ შეგვახსენა, ვისმინოთ ხმა ღვთისა, ხმა ჩვენი სულიერი მამისა და გავერთიანდეთ ღმერთთან და ერთმანეთთან. ეს ფაქტი მიგვანიშნებს, რომ პატრიარქის ლოცვა-კურთხევა უპირველესად უნდა აღასრულოს აფხაზეთის საზოგადოებამ, რამეთუ მისი როლი გადამწყვეტია აფხაზეთის დაბრუნების საქმეში. უკეთუ ჭეშმარიტ სარწმუნოებაში განვმტკიცდებით - ჯვარცმა, რომე-

ლიც გამოიარა აფხაზეთის საზოგადოებამ დამთავრდება აღდგომით და ამაღლებით.

ასევე არ არის შემთხვევითი, რომ სოხუმის ტრაგედია დაემთხვა 27 სექტემბერს, ანუ ჯვართამაღლებას.

მე ღრმად მწამს, რომ აფხაზეთის ხელისუფლება და განსაკუთრებით მისი ხელმძღვანელები, ბატონი ვახტანგ კოლბაია და ბატონი გია, იგივე ელგუჯა გვაზავა და მთელი დევნილი მოსახლეობა გახდება პატრიარქის ლოცვა-კურთხევის აღმასრულებელი და მაგალითს მისცემს სრულიად საქართველოს.

ქალბატონი სვეტლანა ბრძანდება რჩეული წევრი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და რჩეული მამულიშვილი. იგი მალამოდ დაედო ჩვენი ქვეყნის სხეულზე გახსნილ ჭრილობას - აფხაზეთს და როგორც თავისი სიცოცხლით, ასევე გარდაცვალებით დაამოწმა სიყვარული ღვთისა და და მამულისა.

ღმერთმა აცხოვნოს მისი უკვდავი სული და არ მოაკლოს მას ერის ლოცვა, ხოლო მისი ლოცვა არ მოკლებოდეს სრულიად საქართველოს, ამინ.

ჭიათურისა და საჩხერის მიტროპოლიტი
**დანიელი (დათუაშვილი)**

* * *

მეუფევ, მამანო, დედანო, ძვირფასო საზოგადოებავ,

თქვენო მაღალყოვლადსამღვდელოესობავ, თქვენ აქ ბრძანებდით სიმბოლოებზე. ალბათ, სიმბოლურია ისიც, რომ ქალბატონი სვეტლანას გაცილება პატრიარქის აღსაყდრების საუბილეო დღეებს ემთხვევა. 10 წელზე მეტია, რაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II -ის ლოცვა-კურთხევით შეიქმნა აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრი. მისივე ლოცვა-კურთხევით ხელმძღვანელობდა ამ ცენტრს ქალბატონი სვეტლანა. სულიერი და კულტურული მიმართულების ცენტრის ხელმძღვანელი სწორედ რომ უნდა ყოფილიყო სულიერად და ზნეობრივად ამაღლებული ისეთი პიროვნება, როგორიც იყო ქალბატონი სვეტლანა, რომელიც გახლდათ სიმბოლო ქართულ-აფხაზური ურთიერთობისა, ქართველთა და აფხაზთა მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრებისა. სვეტლანა ქეცბას სახით ძლიერი საყრდენი გამოგვეცალა არა მარტო ჩვენ, აფხაზეთის მკვიდრთ, არამედ სრულიად საქართველოს, რამეთუ ქალბატონი სვეტლანა თავისი ცხოვრების წესით, საოცარი შინაგანი ინტელექტით, ბუნებით, დახვეწილი მანერებით, ქცევით, მაღალგემოვნებიანი ღონისძიებებით, იყო მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება შევინარჩუნოთ ქართულ-აფხაზური ურთიერთობა. მადლობა მინდა ვუთხრა ქალბატონ სვეტლანას მეგობრებს, მამა ადამს, მამა ბიძინას, ბატონ ელდარს და სხვებს იმისათვის, რომ სულიერებისა და კულტურის ცენტრი მართლაც იქცა განსაკუთრებულ კერად სათნოებისა, კუნძულად პატივის მიგებისა, კუნძულად საოცარი მეხსიერებისა.

ჩვენ დაგვაკლდა საოცარი მოყვასი, პიროვნება, რომელსაც კიდევ შეეძლო ძალიან დიდი საქმეების კეთება. მადლობა მას იმ ცხოვრებისათვის, რაც მან გვიკარნახა, რაც დაგვიტოვა მაგალითად, ნიმუშად იმისა, თუ როგორ შეიძლება იყო ძალიან მაღალი მოთხოვნილების ადამიანი საკუთარი თავისადმი და აბსოლუტურად მიმტევებელი სხვებისადმი, სხვების შეცდომებისადმი და ეს მიმტევებლობა უფრო მეტს გვავალებდა. მისი პატივმიგება აქ, ქვაშვეთის ეკლესიაში, რომელიც პატრიარქის კურთხევით გადაწყდა და მისივე ლოცვითა და კურთხევით შინდისის თამარწმინდის მონასტრის ეზოში ჰპოვებს საბოლოო სავანეს, ეს მისი დამსახურებაა ერისა და ქვეყნის წინაშე, ეკლესიის წინაშე და მადლობა, რომ ეს დაფასდა ასეთნაირად.

დღევანდელი დღე, ქალბატონო სვეტლანა, არის ჩვენი პატივის მიგება თქვენდამი და მადლობა ყველაფრისათვის, რომ იყავით, გვასწავლიდით. მადლობა თქვენს შვილს, თქვენს ახლობლებს, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ თქვენი ბოლო გზა ყოფილიყო ისეთივე ლამაზი, როგორიც თქვენ იყავით ცხოვრებაში.

**ვახტანგ ყოლბაია**
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი

* * *

თავდახრით მინდა მადლობა ვუთხრა ყველაფერი იმისათვის, რასაც ქალბატონი სვეტლანა აკეთებდა საქართველოს გამთლიანებისათვის, იმისთვის, რომ საქართველო ამაყად შესულიყო XXI საუკუნეში. დიდი ხანია მის გვერდით ვიყავი, კონსერვატორიიდან დაწყებული, და ვიცი მისი საქმეები, მისი განსაკუთრებული ნიჭი. იგი იყო კარგი ორატორი და შეეძლო მოენუსხა საზოგადოება. მახსოვს, თეატრალური საზოგადოების შეხვედრაზე გრიბოედოვის საფლავთან რუსეთის დიდი მსახიობები იყვნენ ჩამოსული. გრიბოედოვის შესახებ ისაუბრა ქალბატონმა სვეტლანამ და მახსოვს ამ დიდი მოღვაწეების გაოცებული სახეები: - ასეთი გამოსვლა გრიბოედოვის შესახებ ჯერ არ მოგვისმენიაო, - ამბობდნენ ისინი.

და საბოლოოდ, მინდა ჩვენი ურთიერთობა ჩამოვაყალიბო იმ შესანიშნავ დაწესებულებაში, აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრში, რომელსაც წლების განმავლობაში ქალბატონი სვეტლანა ასე თავდადებული მოღვაწეობით აღნიშნავდა. ეს ადამიანი სავსე იყო მხოლოდ საქართველოს და, რა თქმა უნდა, მისი შემადგენელი ნაწილის, აფხაზეთის სიყვარულით, ისე რომ მას ეს სიტყვები არასოდეს უთქვამს ხმამაღლა. ეს ჰქონდა მას გულში ჩადებული და ყოველი მისი ნაბიჯი, ყოველი მისი წუთი - ყველაფერი ამჟღავნებდა ამას.

ქალბატონი სვეტლანა უდიდესი პატრიოტი იყო და მთელი გულით იღვწოდა საქართველოს გაერთიანებისათვის. მახსოვს მისი მოწყობილი ყველა საღამო, ეს იქნებოდა ცენტრის ოფისში თუ სხვა დარბაზებში. როგორი სილამაზით, როგორი ცოდნით, როგორი სიყვარულით აკეთებდა ამას ყველაფერს და ვფიქრობ, რომ აი ეს სიყვარულის ჯაჭვი, რომელსაც ქალბატონი სვეტლანა ქსოვდა და რომელსაც დღეს მისი სახით დიდი რგოლი გამოაკლდა, ჩვენ, მისმა მოყვარულმა ადამიანებმა, მისმა მეგობრებმა, რამენაირად მალე უნდა შევავსოთ. ეს ძნელია, ძალიან ძნელი, მაგრამ უნდა ვეცადოთ, რომ ეს ჯაჭვი დიდხანს არ იყოს გაწყვეტილი, რათა ზიანი არ მიადგეს საქართველოს ერთიანობას.

**ელდარ გეწაძე**
საქართველოს სახალხო არტისტი

# მარადიულობისთვის ჩაღვენთილი სანთელი

ჩამოჰკრეს მწუხრის ზარებმა... ქალბატონი სვეტლანა გარდაიცვალა!

მისივე სურვილით იგი თბილისის მახლობლად, შინდისში, დედათა მონასტრის წმიდა მიწასაა მიბარებული. საფლავის ოდნავ ზემოთ ამოწეული მიწა, ზემოთ დარჩენილთ იმას მიგვანიშნებს, რომ მის ქვეშ ზეცაში, ღმერთთან წასვლის სურვილით ანთებული დიდებული ქალბატონის ნეშტი განისვენებს.

გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე საავადმყოფოში მოვინახულე ქალბატონი სვეტლანა. სარეცელს მი-

ჯაჭვული, სამედიცინო აპარატურაზე მიერთებული ქალბატონის ნახვამ ცრემლით დამინამა სახე. მკურნალმა ექიმმაც სანუგეშო ვერაფერი მითხრა, თვითონაც სწუხდა.

... გასაუბრება მომინდა სვეტლანასთან, არ მინდოდა,რომ უნუგეშოდ ყოფილიყო. მის სასთუმალს მივუახლოვდი და გულში ვკითხე – როგორ ბრძანდებით, ქალბატონო სვეტლანა? ვიცოდი, რომ მისი სული მხედავდა და ყველაფერი ესმოდა. ყოველთვის მომღიმარი და სიცოცხლით სავსე სვეტლანა ოდნავ დადარდიანებული მეჩვენა. იმ დროს რომ შეძლებოდა ჩემთან საუბარი, აუცილებლად მეტყოდა მისუმთავრეს სატკივარს, რომ არ ეყო დრო და ძალა ქართველებისა და აფხაზების შერიგებისათვის, რისთვისაც ის დაუღალავად იღვწოდა.

განსაკუთრებულ მოკრძალებას, პატივისცემასა და სიყვარულს გამოხატავდა ქალბატონი სვეტლანა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მიმართ. თუ რაიმე დავალებას მიიღებდა მისგან, დღედაღამ არ ეძინა და უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა დაკისრებულ საქმეს...

მდუმარედ დაგვტოვა ... მოძმეთაგან შერისხულს არც ქართველთაგან დაჰკლებია სუსხი..., მაგრამ მას ყველა უყვარდა, ყველა...

ჭეშმარიტი მორწმუნისათვის სანატრელია ცოდვილ მიწაზე ამგვარი დასასრული, რასთანაც მხოლოდ ერთადერთი გზა, გოლგოთის გზა მიგვაახლებს, გზა სინანულისა, თავმდაბლობისა, მორჩილებისა, ჯვარცმისა, აღდგომისა და ამაღლებისა.

მე და ქალბატონ სვეტლანას არაერთგზის გვისაუბრია რუსულად. სწორედ ამიტომ მაქვს სურვილი ორიოდ სიტყვა რუსულადაც ვთქვა.

Среди нашей постоянной суеты и бесконечных дел, среди житейских забот весть о смерти всегда приходит внезапно, тем более весть о кончине близкого человека, который только «вчерашний день беседовал с нами». Эта весть вызвала в наших душах слёзную молитву.

Светлана Кецба покинула этот временный мир с глубокой верой в Господа. А Священное Писание говорит: «Блаженны мертвые, умирающие о Господе. Они успокоятся от трудов своих, и дела их идут вслед за ними». А дела Светланы – это вся ее многотрудная жизнь, принесённая без остатка к подножию Креста.

В жизни честного человека бывают и поношения, и беспочвенная клевета, и гонения. Всё это мужественно перенесла наша Светлана.

Любая смерть ненормальна, и с нею не хочет и не желает смириться наше человеческое сердце. ДажеСпаситель, почувствовав приближение смерти, сказал: «Душа Моя скорбит смертельно». Но смерть – это конец и всем земным трудам, заботам, тревогам и скорбям. Смерть –это конец и многочисленным, нередко очень тяжёлым болезням и страданиям. «Смерть –мужу покой», - сказано в книге Иова. И мы знаем, что «у Бога нет мёртвых, но все живы».

В нашей Православной Соборной и Апостольской Церкви молитва за усопшего основана на глубокой вере в загробную жизнь, во всеобщее воскресение мёртвых, в единство Церкви земной и небесной.

Дорогая наша Светлана. Вспоминая Вас, мы просим у тебя прощения и верим, что Милосердный Господь со святыми упокоит твою бессмертную душу. Об этом наши молитвы. Вечная память тебе! Бог Всемогущий да вселит тебя в Своих небесных селениях!

და ბოლოს, აფხაზურადაც ვიტყვი.

Гәыкала бзиа иаабоз ҳаҳәашьа Светлана наҭаҭа ҳгәы дҭазаауеит. Лгәы иақәыргҵсаз ақырҵуа анышә лзыласхааит, Амин!

დეკანოზი ბიძინა გუნია

# გზა მუსიკიდან ტაძრამდე

საყოველთაოდ ცნობილია, რომ პროფესიული მუსიკის სათავეები უძველეს საეკლესიო საგალობელთან არის დაკავშირებული. გალობის ნიმუშები პროფესიული მუსიკის გასაღებია. გალობის ნიმუშებს ჩვენი ისტორიის მრავალი საკითხი ამოუხსნია და მომავალშიც ამოხსნის...

მიწიერი ცხოვრების გზამ ქალბატონი სვეტლანა ქეცბა პროფესიული მუსიკიდან ტაძრამდე მიიყვანა. მართლმადიდებელ ეკლესიამდე, რომელიც აფხაზებს და ქართველებს ისტორიულად აერთიანებდა და მომავალშიც აუცილებლად გააერთიანებს. მას ღრმად სწამდა, რომ პატიების, მიტევების, შენდობის, შემწყნარებლობის, არაგულღრძოობის გზა ტაძრამდე მიმავალი ერთადერთი გზაა.

...აფხაზეთში ომი ახლადდამთავრებული იყო...ჩემს დიდ მეგობარსა და მესაიდუმლე ბატონ ლორიკ მარშანიას ვთხოვე სოხუმის დიმიტრი არაყიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის დირექტორთან, აფხაზეთის კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარესთან ქალბატონ სვეტლანასთან შეხვედრას დასწრებოდა და მისთვის აფხაზეთის დევნილ მთავრობაში კულტურის მინისტრის თანამდებობა ერთად შეგვეთავაზებინა. ორივე დიდხანს ორჭოფობდა. ომის ემოციის ფონზე არაქართულენოვანი აფხაზი ქალბატონის კულტურის მინისტრად დანიშვნას როგორ მიიღებდნენ დევნილები, ქართული საზოგადოება... შემდეგ ხშირად ღიმილით ვიხსენებდით ჩემს მთავარ არგუმენტს - „ქალბატონო ლანა, მუსიკა რომ შეასრულო, მხოლოდ უნდა იცოდე, რომ საჭირო დროს საჭირო კლავიშებს დააჭირო თითი. დღეს პოლიტიკურ კლავიშებს უნდა თითის დაჭერა...,,. სიმბოლურია, რომ საბოლოო გადაწყვეტილება სამივემ სწორედ ქვაშუეთის წმ. გიორგის ტაძარში ყოფნისას მივიღეთ, საიდანაც იგი 24 წლის შემდეგ უკანასკნელ გზაზე გავაცილეთ...

იგი გამორჩეულ სახელწიფო მოღვაწედ მოგვევლინა. რამდენიმე წელიწადში საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილედაც დაინიშნა. დიდია მისი პირადი დამსახურება იმაში, რომ ომის შემდეგ რამდენიმე თვეში დევნილობაში ამოქმედდა სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი, სოხუმის საბავშვო და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული თეატრები, აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, აფხაზეთის სახელოვნებო, სამხატვრო და სამუსიკო სკოლები, კულტურის სხვა ცენტრები.

სხვადასხვა დონის საერთაშორისო ომისშემდგომ შეხვედრებზე ქალბატონი სვეტლანა პრინციპულად იცავდა ჰუმანიტარულ ინტერესებს, ოთხ უცხო ენაზე პასუხობდა რთულ კითხვებს.

მის მიერ დაფუძნებულმა „აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრმა“ დიდი მისია დაისახა მთავარ მიზნად და ამ მისიის აღსრულებას ზნეობრივად და სულიერად მდიდარი ქალბატონი სვეტლანა განსაკუთრებული რუდუნებით ემსახურა. დარწმუნებული ვარ, ცენტრი სულიერი კულტურის ფასეულობების მოვლა-პატრონობის და ქართულ-აფხაზურიკულტურის პოპულარიზაციისსაშურ საქმეს და მშვიდობისმყოფელ მოღვაწეობას მომავალშიც ღირსეულად გააგრძელებს.

მიუხედავად იმისა, რომ უფალმა დიდი განსაცდელი მოუვლინაქალბატონი სვეტლანას ოჯახს, იგი ბოლომდე დარჩა უკეთილშობილეს ადამიანად და ურთულეს პირობებში თავისი ნიჭის რეალიზებაც შეძლო. 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამოცემული მისი ორენოვანი წიგნით „გულის სახსოვარი“ ანგარიში ჩააბარა საზოგადოებას გაწეული მოღვაწეობის შესახებ.

საქართველოსა და აფხაზეთის (გაგრძელება მე-6 გვ.)

(დასაწყისი მე-5 გვ.) ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი ჯილდოს „წმიდა გიორგის ოქროს ორდენისა“ და ღირსების ორდენის კავალერი, გასაოცრად სათნო, გემოვნებიანი, დახვეწილი, კეთილი, გაწონასწორებული, უპრეტენზიო ქალბატონი სვეტლანა ქეცბა ყველას სითბოთი და სიყვარულით გვავსებდა. სიცოცხლის ბოლო წუთებამდე ერთგულად ემსახურა ქართულ-აფხაზური შერიგების იდეას და ერთობლივ ისტორიულ მომავალს. დიდია გულისწყვეტა... მას კიდევ ბევრი შეეძლო...

ღმერთმა გვიმრავლოს საქართველოში სვეტლანა ქეცბასნაირი ღირსეული აფხაზი ქალბატონები.

ზურაბ ერქვანია
აფხაზეთის ექს-პრემიერ მინისტრი

# მოგონებანი გაჩდასულ დღეთა!..

ძნელია მონახო შესაფერისი სიტყვები ისეთი კეთილშობილი ადამიანის დასახასიათებლად, როგორიც ჩვენი სვეტლანა ქეცბა იყო. მით უმეტეს ძნელია წარსულში მოიხსენიო ჩვენთვის ძალზე ახლობელი, ძვირფასი ადამიანი და გულითადი მეგობარი, ვისთანაც ათეული წლების განმავლობაში, აფხაზეთშიც და თბილისშიც, გვერდი-გვერდ იღვწოდი, ჭირსა და ლხინს თანაბრად იზიარებდი...

აღარ არის ჩვენ გვერდით ჩვენი საყვარელი ლანა, ასე მივმართავდით მას, მოფერებით, მისი მეგობრები და ახლობლები. წავიდა ჩვენგან გულმართალი და ალალი ქალი, ქალი ოქროპირი, სიტყვაკაზმულობის დიდოსტატი, სიდარბაისლისა და სისპეტაკის ჭეშმარიტი ნიმუში. ცნობამ მისი მოულოდნელი გარდაცვალების შესახებ ყველას თავზარი დასცა. გაწყდა ქართულ-აფხაზური ურთიერთობების კიდევ ერთი, ძლიერი ძარღვი, ძარღვი, რომელიც სვეტლანა ქეცბას სახით, ძალ-ღონეს არ იშურებდა ჩვენ შორის ჩატეხილი ხიდის აღსადგენად. და ამას იგი აკეთებდა არა მარტო სიტყვით, არამედ საქმით, მის მიერ დაფუძნებული აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის მეშვეობით, რომლის უცვლელი თავმჯდომარე სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე ბრძანდებოდა.

საკმარისია გაიხსენო აფხაზეთსა და თბილისში სვეტლანა ქეცბას მოღვაწეობა, გადახედო მის მიერ ათეული წლების განმავლობაში გაკეთებულ საქმეებს, რუდუნებით შექმნილ აფხაზურ-ქართული ურთიერთობების მოგონებათა კრებულს სახელწოდებით - „გულის სახსოვარი“, რომ დარწმუნდე ავტორის არა მარტო უმაღლეს პროფესიონალიზმსა და უდიდეს კომპეტენტურობაში, არამედ, პირველ რიგში, მის იმ მორალურ, ზნეობრივ და კეთილშობილურ ადამიანურ თვისებებში, რომელიც მას ახასიათებდა თანამშრომლებთან, კოლეგებთან, ნაცნობ-მეგობრებთან, თუ საერთოდ ყველა ადამიანთან ურთიერთობაში.

ღრმად მწამს და მჯერა, რომ სვეტლანა ქეცბას მიერ სიყვარულით შექმნილი აფხაზურ-ქართული საუკუნოვანი ძმობისა და მეგობრობის ეს ხელთუქმნელი ძეგლი -

„გულის სახსოვარი“ კიდევ არაერთხელ გამოიცემა, რადგან იგი წარმოადგენს არა მარტო აფხაზეთის კულტურის მცირე ისტორიას, არამედ, ფაქტობრივად, აფხაზურ-

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ცენტრს შორის მემორანდუმის გაფორმება. 22.05.2017

შეხვედრაზე მწერალ გივი ფაჭნაზარეთან. 15.05.2017

აფხაზ მხატვართა გამოფენა „ეუზაში“. ცენტრის 10 წლისთავისადმი მიძღვნილ სადამფზე. 2016

ქართული ურთიერთობების ერთგვარ ენციკლოპედიას. მიმაჩნია, რომ იგი თაობიდან თაობას ესტაფეტად უნდა გადაეცეს, როგორც ჩვენს ხალხთა შორის მეგობრობის მატიანის მარად ანთებული, ჩაუქრობელი ჩირღდანი.

სვეტლანა ქეცბა, მის მიერ აფხაზურ-ქართული ურთიერთობების შესახებ გამოცემული მონოგრაფიის პირველსავე თავში, „ფიქრები თანხმობასა და მშვიდობაზე“ წერს: „არაორდინალური და განსაკუთრებული აღმოჩნდა უახლესი წარსულის მოვლენები, იმგვარი, ანალოგი რომ არ მოიძებნება აფხაზების და ქართველების ისტორიაში, როცა ორი ხალხი, მჭიდროდ გადაჯჭვული ნათესაური კავშირით, ტრადიციებით, წეს-ჩვეულებით, ერთობლივად რომ აშენებდა ეკონომიკას, კულტურას, მეცნიერებას, ერთობლივად რომ იღვწოდა საზოგადოებრივ-შემოქმედებით სარბიელზე, ბარიკადების სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდა, ერთმანეთის წინააღმდეგ იარაღი აღმართა, სიძულვილი და უსიამოვნება დათესა“. შემდეგ კი იგი აგრძელებს: „ომს სიკეთე არც გამარჯვებულის და არც დამარცხებულისთვის მოაქვს. ამას ადასტურებდნენ ჯერ კიდევ უძველეს წარსულში... ნათელია, რომ ბარიკადების სხვადასხვა მხარეს მყოფ ადამიანებს შორის ურთიერთგაგების მიღწევა აუცილებელია, რადგან არავითარ განკარგულებას ზემოდან არ შეუძლია მოიტანოს მშვიდობა და თანხმობა, თუ არ იქნება ნება, ნება ცალკეული პიროვნებების და ნება მთელი ხალხისა. ამისათვის დიდი, სერიოზული მუშაობაა საჭირო“... და შემდეგ ასკვნის - „ყველა შემთხვევაში, ეთანხმები თუ არა პოლიტიკურ მიდგომებს, მთავარია ზრუნვა საერთო პრინციპებზე, მათი შემუშავება და დამკვიდრება არა მარტო წარსულისა და აწმყოს, არამედ ხალხების მომავლის ისტორიული ბედის სწორად განსაზღვრისათვის“.

ქალბატონ სვეტლანა ქეცბას ზემოთ მოყვანილი სიტყვები არა მარტო გააზრებული, არამედ, როგორც იტყვიან, გასისხლხორცებული ჰქონდა. იგი მის ცხოვრებისეულ კრედოს წარმოადგენდა და რწმენის უმაღლეს ხარისხში იყო აყვანილი. ამის დასტურია თუნდაც მისი გენეალოგია. მისი დიდი სანათესაო წრე აერთიანებდა ისეთ ცნობილ გვარებს, როგორიცაა: შონია, ქურსუა, ჯორჯიკია, არდაშელია, მურღულია, ქეცბა, ანჩაბაძე, ინალ-იფა, ლაშხია, ზუხბაია, ნაყოფია, ლაცუზბაია, ყურაშვილი, ბარციცი, არაჰამია, ლაკობა, ბასარია, რუბჩისი (შავგულიძე), და ა. შ., რომელთა ჩამოთვლა ძალზე შორს წაგვიყვანდა. ჩამოთვლილი გვარები, როგორც თავად ქალბატონი სვეტლანა აღნიშნავდა, მხოლოდ იმ „დიდი სანათასაოს ის არასრული ჩამონათვალია, რომლებიც, ასე თუ ისე, გადაჯაჭვული არიან ერთმანეთთან უახლოესი ნათესაური კავშირებით, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენს პატარა ქვეყანაში ნათესაური კავშირები ისეთ მჭიდრო წნულს ქმნიან, რომლის გახსნა-გაწყვეტა შეუძლებელია, და ყველა მოვლენა ერთნაირი სიხარულითა და ტკივილით აღიქმება. ამ წნულის გაწყვეტა არ ძალუძს ომსაც კი“, - ასკვნის თავისი წიგნის ბოლოთქმაში ქალბატონი სვეტლანა.

უნდა ითქვას, რომ ასეთი ოჯახები თითო-ოროლა როდია. იგი მოიცავს ათასობით გვარს, ათი ათასობით ოჯახს, ასეულ ათასობით პიროვნებას, რომელთა გახლეჩა მართლაც რომ შეუძლებელია, რომ არაფერი ვთქვათ ნათელმირონობაზე, ძუძუმტეობაზე, ძმადნაფიცობაზე და იმ მრავალრიცხოვან მეგობრულ კავშირებზე, რომლებიც ადამიანთა გონებისა და გულის უხილავი ძაფებით არის ერთმანეთთან გადაჯაჭვული. ასეთი ურთიერთობის მოწმე და მონაწილე მრავალი ჩვენგანია და ამის ცოცხალი მაგალითები უხვად არის მოყვანილი ქალბატონ სვეტლანა ქეცბას მიერ სიყვარულით შექმნილ აფხაზურ-ქართული ურთიერთობის მოგონებათა კრებულში.

ქალბატონ სვეტლანას არასოდეს გაუყვია აფხაზეთის ცნება საქართველოსაგან და პირიქით. „აფხაზეთი საქართველოდ და საქართველო აფხაზეთად“ - ასეთი იყო მისი

ლანა ღიდიჯერიძის ფილმის ჩვენების შემდეგ, 2014 წ.


„ერთი მამალი აღვიძებდა ჩიდიგ-აფხაზეთს“, 2016

სტუმრად მარიჩნეტების თეატრში სპექტაკლზე „სტალინგრადის ბრძოლა“, 2011

შეხვედრაზე მანანა ანუასთან. 2012

ცხოვრებისა და შემოქმედების ლეიტმოტივი. იგი ხალხებს შორის ურთიერთობაში მუდმივად იძიებდა იმ სიღრმისეულ ფესვებს, რომლებიც საერთოა აფხაზთათვისაც და ქართველთათვისაც. სიყვარულით აღნუსხავდა ყველა იმ ფაქტს თუ მოვლენას, რაც კი არ გვთიშავს, არამედ გვაერთიანებს, გვადუღაბებს, გვაკეთილშობილებს და ავყავართ სულიერების უმაღლეს საფეხურზე.

გაუსაძლისია ის უდიდესი მწუხარება და ტკივილი, რომელიც სვეტლანა ქეცბას გარდაცვალებით მიადგა ყველას. იმედად ისღა დაგვრჩენია, თავი ვინუგეშ ოთ იმით, რომ მისი ხსოვნა სამარადისოდ დარჩება ყველა ჩვენგანის გულში.

ასეთი ადამიანები არ კვდებიან! სიტყვა გარდაცვალება სრულად მიესადაგება ისეთ უდიდეს, კეთილშობილ და ღვთისნიერ პიროვნებას, როგორიც ქალბატონი სვეტლანა ქეცბა იყო. იგი მხოლოდ ფიზიკურად წავიდა ჩვენგან, მაგრამ მარადისობაში შეუერთა სული ზეციურ საქართველოს. შთამომავლობას კი სამარადისოდ დაუტოვა დიდი სახელი, ამაღლებული სული და მხურვალე გული, რომელიც მუდამ იგიზგიზებს, როგორც მარად ანთებული სანთელი.

**ვილენ ალავიძე**
**აფხაზეთის საოლქო კომიტეტის**
**ყოფილი მეორე მდივანი,**
**საქართველოს ეროვნული და**
**სოციალურ ურთიერთობათა**
**აკადემიის აკადემიკოსი, აკადემიის**
**პრეზიდიუმის წევრი,**
**მსოფლიო მშვიდობის ელჩი**

# სვეტლანა ქეცბა - სიმბოლო ქართულ-აფხაზური მეგობრობისა

ძნელია შეეგუო იმ აზრს, რომ სვეტლანა ქეცბა ჩვენთან აღარ არის. მისმა გარდაცვალებამ გული დაწყვიტა ყველას, ვინც მას იცნობდა. ის აფხაზი ერის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, ყველასგან გამორჩეული, მრავალმხრივ განათლებული, კეთილშობილი, თავისი საქმის პროფესიონალი, საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე იყო. სვეტლანა ქეცბას მეტად რთულ პერიოდში - საომარი კონფლიქტის დროს მოუწია მოღვაწეობა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის მინისტრის თანამდებობაზე. მიუხედავად იმისა, რომ მას შეეძლო გარიდებოდა საომარ კონფლიქტს, ბოლომდე დარჩა სოხუმში და არ იშურებდა ძალისხმევას მშვიდობის დასამყარებლად. ის თავისი დიპლომატიური ნიჭითა და ინტელექტით ყველა სიტუაციდან პოულობდა გამოსავალს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ სხვადასხვა სფეროში ვმოღვაწეობდით, ასე მგონია, მას მთელი ცხოვრება ვიცნობდი. მასთან ყოველი შეხვედრა მეტად სასიამოვნო და დასამახსოვრებელი იყო. სვეტლანა ქეცბამ ხანგრძლივი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე უდიდესი წვლილი შეიტანა აფხაზური კულტურის განვითარებაში. მან მრავალი მუსიკალური კადრი აღუზარდა სამშობლოს. მის მოღვაწეობასთანაა დაკავშირებული აფხაზეთის ქ.სოხუმის მუსიკალურ სასწავლებელში აფხაზური ხალხური ინსტრუმენტების კლასის განყოფილებების გახსნა, ასევე, აფხაზეთის ბავშვთა საგუნდო სკოლის შექმნა. აღსანიშნავია სვეტლანა ქეცბას ღვაწლი კომპოზიტორთა კავშირის ხელმძღვანელობის 22 წლის მანძილზე აფხაზეთის პროფესიული საკომპოზიტორო სკოლის ფორმირებასა და განვითარებაში. სვეტლანა ქეცბა ყველა სფეროში, სადაც კი უმოღვაწია, ავლენდა პროფესიონალიზმს და დიდ პასუხისმგებლობას. განსაკუთრებით ფაქიზ მზრუნველობას იჩენდა ქართულ-აფხაზური კულტურის შესანარჩუნებლად. მან შეძლო დევნილობის წლებში აფხაზეთის კოლექტივებისათვის საზღვარგარეთ გასტროლების ორგანიზება (საფრანგეთი, შვეიცარია, პოლონეთი); ნიშანდობლივია მისი აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობა „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხსნის კომიტეტში" და სახალხო დიპლომატიის სფეროში. მინდა აღვნიშნო სვეტლანა ქეცბას უდიდესი ძალისხმევა ომის პერიოდში დაფუძნებულ საზოგადოებრივ ორგანიზაცია "სოხუმელში" (დამფუძნებელი ვიქტორ ცხომარია, ხელმძღვანელი ლეონიდე ჯახაია), სადაც გაერთიანებული იყვნენ აფხაზეთის თვალსაჩინო წარმომადგენლები. მახსენდება აფხაზეთში სხვადასხვა ღონისძიებებზე სვეტლანა ქეცბას შესანიშნავი გამოსვლები ყოველგვარი ტექსტების გარეშე, როგორ იწვევდა მსმენელთა აღფრთოვანებას და ოვაციას. საგულისხმოა 1994-1997 წლებში ჩვენი ერთობლივი საქმიანობა დევნილობაში აღდგენილ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქალთა საბჭოში.

აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის მიუხედავად, სვეტლანა ქეცბა ბოლომდე ქართულ-აფხაზური ნათესაური კავშირების, მეგობრობის ერთგული დარჩა. ისტორიის მეტად რთულ ეტაპზე იგი თავისი საქმიანობით ცდილობდა ქართულ-აფხაზური ურთიერთობის გაჯანსაღებას, აფხაზებისა და ქართველების შერიგებას. მას დიდ დარდად გაჰყვა ქართულ-აფხაზური ურთიერთობების აღდგენის მიუღწევლობა ... ქვეყნის წინაშე სვეტლანა ქეცბას დიდი დამსახურების დასტურია მის მიერ მიღებული უმაღლესი საეკლესიო და სახელმწიფო ჯილდოები - „წმინდა გიორგის ოქროს ორდენი" და „ღირსების ორდენი". სვეტლანა ქეცბა პირნათელი წავიდა ამქვეყნიდან. უფალმა სასუფეველი დაუმკვიდროს ამ შესანიშნავ ადამიანს, ერის სიამაყეს.

**როზა კუხალაშვილი**
აფხაზეთის ქალთა საბჭოს თავმჯდომარე

# იგი მუდამ ჩვენთან იქნება

ქალბატონი სვეტლანა 1995 წელს გავიცანი, მაშინ ის გახლდათ აფხაზეთის კულტურის მინისტრი. მასთან მივედი ინფორმაციით, რომ ბატონ ედუარდ შევარდნაძესთან შეთანხმებით გადაწყდა თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში დევნილი ახალგაზრდებისთვის სპეციალური ექსპერიმენტული კინო-ჯგუფის ჩამოყალიბება, რომლის მიზანი იყო აფხაზური კინოსტუდიი სდაარსება და, შემდგომში, ამ ბაზაზე უმაღლესი სასწავლებლის ჩამოყალიბება. დღესაც თვალწინ მიდგას მისი თავშეკავებული, სიხარულით სავსე სახე. ამ წინადადებას იმ დროს ბევრი „მოღვანე", რბილად რომ ვთქვა, სკეპტიკურად უყურებდა. ამ შეხვედრიდან დაიწყო ჩვენი ურთიერთობა, რომელიც მალე მეგობრობაში გადაიზარდა. ორი წლის განმავლობაში სისტემატურად მეხმარებოდა ნიჭიერი ახალგაზრდების მოძიებაში, ერთად ვეძებდით აფხაზური წარმოშობის ახალგაზრდებსაც, რაც, სამწუხაროდ, ვერ მოვიძიეთ. შემდგომში, სიცოცხლის ბოლო წუთამდე, არ მოგვკლებია მისი ყურადღება. მისი თაოსნობით დაიბადა კინოცენტრ „აფხაზეთის" დაარსების იდეა. როგორც საკუთარი შვილის წარმატება გაუხარდება ადამიანს, ასე უხაროდა ამ ახალგაზრდების წინსვლა. ეს მაშინ, როდესაც არა თუ ასეთ სიყვარულს, არამედ უბრალო ყურადღებასაც მონატრებულნი ვართ. დღეს არ შემიძლია კიდევ ერთხელ არ ვუთხრა ჩემი და ამ ახალგაზრდების სახელით ქალბატონ სვეტლანას დიდი მადლობა იმ დიდი სითბოსთვის და

გულისხმიერებისთვის, რასაც იჩენდა ჩვენ მიმართ. იგი ყოველთვის ჩვენთან იყო და მუდამ ჩვენთან იქნება.

სვეტლანა ქეცბა - აფხაზი ქალბატონი, სულით ხორცამდე ქართველი მოღვაწე, სავსე სიკეთითა დ ასიყვარულით, ადამიანებთან ურთიერთობაში საოცრად დახვეწილი იყო, ისეთი, რომ თითქოს მის გარშემო უხეში და მდაბიო გარემო საერთოდ არ არსებობდა. იგი მათ ვერ ან არ ხედავდა, რადგანაც მისი ცხოვრების მთავარი საყრდენი სიწმინდე იყო. ბუნებრივი იყო ის, რომ „აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრს“ დაარსებიდან პატრიარქის წარდგინებით ქალბატონი სვეტლანა ხელმძღვანელობდა. ღმერთმა უმრავლოს ჩვენს ქვეყანას ასეთი მოქალაქეები.

**გელა კანდელაკი**
**კინოცენტრ „ქართული ფილმი -აფხაზეთის“**
**სამხატვრო ხელმძღვანელი**

# მაღალი რანგის მუსიკოსი

სვეტლანას სტუდენტობიდან ვიცნობდი. იგი მაშინვე წარმოჩინდა, როგორც წარმატებული სტუდენტი და მალევე მაღალი რანგის მუსიკოსად მოგვევლინა. კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ მშობლიურ სოხუმს დაუბრუნდა და დაინიშნა მუსიკალური სასწავლებლის დირექტორად. მანვე ჩამოაყალიბა აფხაზეთის კომპოზიტორთა კავშირის განყოფილება. სოხუმში მოღვაწეობის პერიოდში სვეტლანას ვხვდებოდი მუსიკალურ ღონისძიებებზე სოხუმსა თუ თბილისში. ერთხელ აფხაზი კომპოზიტორების სიმღერების დახურული კონკურსი მოაწყო და ჟიურის წევრად მიმიწვია. ეს კონკურსი სასარგებლო იყო თავად აფხაზი კომპოზიტორებისთვის და ჩვენთვისაც, რადგან ხელს უწყობდა ჩვენს დამეგობრებას.

თბილისში ჩვენი მეგობრობა გაგრძელდა. ცენტრის ბევრ ღონისძიებაზე ვიყავი მიწვეული. სვეტლანა ძალიან ყურადღებიანი ადამიანი იყო. არ მახსენდება უკანასკნელი წლების ჩემი არც ერთი წარმატება, ან საზეიმო თარიღი, რომ მას არ მოელოცა. ის მარტო აფხაზი კომპოზიტორებისთვის კი არა, საქართველოს მუსიკალური სამყაროსათვის ირჯებოდა. ჩემთვის დაუვიწყარია შეხვედრები ცენტრის ოფისში რუსთაველის პრემიის მონიჭების შემდეგ გენო კალანდიასთან ერთად რომ მოგვიწყო, ან თუნდაც, ჩემი საავტორო კონცერტი სოხუმის მუსიკალური სასწავლებლის მოსწავლეთა მონაწილეობით საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის დარბაზში.

მან ძალიან დიდი გულისტკივილი დამიტოვა.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

**ვაჟა აზარაშვილი**
კომპოზიტორი

# უკიდეგანო სიყვარულის დამტევი

გამოვეთხოვეთ სვეტლანა ქეცბას... შემადუღებელ ღერძს აფხაზურ-ქართული ურთიერთობებისა, ადამიანურ ფასეულობათა რუდუნებით შემკრებ და უკიდეგანო სიყვარულის დამტევ ქალბატონს. რთული წარმოსადგენია, ამ თვალსაზრისით, ვინმემ შეცვალოს. მან თავისი ადგილი უკვდავყო საქართველოსა და აფხაზეთის ავბედითი ისტორიის ყველაზე მძიმე პერიოდის ანალებში.

ესოდენ უდრეკი შემართება, როგორცამ სხივმფენ, ქალური სიფაქიზითა და მშვენიერებით აღსავსე მანდილოსანს ჰქონდა, იშვიათობაა. დევნილობაში ყოფნის ერთი დღეც არ უცხოვრია აფხაზეთის, მშობლიური სოხუმის მონატრების, შინდაბრუნების ურყევი რწმენის გარეშე, და, რაც მთავარია, ასევე განაწყობდა გარშემო მყოფთ.

ქალბატონი სვეტლანას ოპტიმიზმის უშრეტი წყარო გახლდათ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესი ილია II ნირშეუცვლელი ვერდიქტი: „ჩვენ აუცილებლად დავბრუნდებით აფხაზეთში...“ პატრიარქის ეს სიტყვები, კურთხეული მიწის პეშვთან ერთად, სამარადისო სასუფევლისაკენ საგზლად გაიყოლა ჩვენმა სასიქადულო ქალბატონმა.

„მინდა გკითხო - შენ უფრო აფხაზი ხარ თუ ქართველი?!.“ - ასე მიმართა უწმიდესმა ქალბატონ სვეტლანას ერთ-ერთი შეხვედრისას. ამ ფრაზებში სვეტლანა ქეცბას გაორებული ტკივილით გათანგული, მრავალჭირგამოვლილი საქართველოს ჭირისუფლის პორტრეტი ირეკლება.

დიდი ხანი არ არის, რაც აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრმა გამოსცა სვეტლანა ქეცბას წიგნი „გულის სახსოვარი“. ნაშრომში ვეცნობით განუმეორებელი ქალბატონის მიერ განვლილ ხანგრძლივ, უაღრესად საინტერესო გზას და მკითხველი ნოსტალგიურ განწყობასთან ერთად, კაცთმოყვარეობის მაღალ კრიტერიუმებს ვეზიარებით.

კრებულის როლს საქართველოს ისტორიაში წიგნის რედაქტორი - მანანა კორძაია ზუსტად განსაზღვრავს: „ეს არ არის მხოლოდ მოგონებების წიგნი. იგი გამოიკვეთა, როგორც აფხაზეთის კულტურის მცირე ისტორია, უფრო სწორად, ერთგვარი ენციკლოპედია ამ საუკუნოვანი ისტორიისა“.

გარდაცვალება შეუქცევადი კანონზომიერებაა, რომელსაც წინ ვერავინ აღუდგება, სახელის უკვდავყოფას კი - განვლილი ცხოვრების მემატიანენი განსაზღვრავენ. სვეტლანა ქეცბას ხსოვნის ვარსკვლავი სამარადჟამოდ იკაშკაშებს როგორც თანამედროვეთა, ასევე მომდევნო თაობების ცნობიერებაში.

**ვაჟა ძიგუა**
თეატრმცოდნე

# სვეტლანა...

როგორ მიესადაგებოდა და უხდებოდა მას ეს სახელი. ჩვენი გონიერი, ბუნებით ბრძენი, დაუღალავი, კეთილი და გულისხმიერი.

იგი 1953 წლიდან მახსოვს, როდესაც ჩვენ ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის კონსერვატორიის სტუდენტები გავხდით. ბრწყინვალე ადამიანური თვისებებით, განათლებით, ფენომენალური მეხსიერებით, დამაჯერებელი საუბრით კურსის გამორჩეული სტუდენტი იყო.

ამიტომაც არ გაგვკვირებია, რომ 1958 წელს კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ, სოხუმში აშკარად გამოავლინა იშვიათი ორგანიზატორული ნიჭიც.

აფხაზეთში განვითარებული ტრაგიკული მოვლენების შემდეგ სვეტლანა თბილისში გადმოვიდა. ეს ნაბიჯი იყო დასტური იმ დიდი სიყვარულისა, რომელსაც იგი სამშობლოს წინაშე განიცდიდა. თბილისში ასევე წარმატებულად აგრძელებდა თავის შრომით საქმიანობას საპასუხისმგებლო თანამდებობებზე.

არასოდეს დამავიწყდება მისი ბრწყინვალე გამოსვლა საქვეყნოდ ცნობილი მუსიკისმცოდნე გივი ორჯონიკიძის დაკრძალვაზე, სადაც თითქმის მთელი ქვეყნის გამოჩენილი მუსიკოსები და მთავრობის წევრები შეკრებილიყვნენ. ამ გამოსვლით მან იქ მყოფი საზოგადოება გააოცა და ამავდროულად მოხიბლა.

სვეტლანა ცხოვრებისაგან არ იყო განებივრებული. მან ბევრი უსიამოვნო მომენტი გადაიტა-

*(გაგრძელება მე-10 გვ.)*

ნა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი ყოველთვის ძლიერ, ნათელ, კეთილგანწყობილ და მომღიმარ ადამიანად რჩებოდა. მის მეგობრებს დღესაც გვახსოვს მისი სტუმართმოყვარე მშვენიერი სახლი ულამაზესი ბაღით სოხუმში.

მას დარჩა ერთადერთი ვაჟიშვილი ვახტანგი - ახალგაზრდა მრავალმხრივი ნიჭით დაჭილდოვებული, მათ შორის ვოკალურითაც. იგი მამის, ცნობილი მომღერლის, ჯემალ ლორთქიფანიძის მსგავსად, რომელიც ნაადრევად წავიდა ამქვეყნიდან, ფლობს მშვენიერ ტენორს.

ძვირფასო სვეტლანა! გულისტკივილით გემშვიდობებით შენი მეგობრები და კოლეგები. ვწუხვართ. ალბათ, განსახორციელებელი დაგრჩა კიდევ ბევრი რამ, რაც გქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ ის, რაც შესძელი შენი ცხოვრების მანძილზე, საკმარისია იმისათვის, რომ დიდხანს დიდი სიყვარულითა და მადლიერების გრძნობით გვახსოვდე. გმადლობთ ყველაფრისათვის, გმადლობთ შენი მეგობრობისა და სიყვარულისათვის.

რივა ბაბალიკაშვილი
ისრაელი

# სვეტლანა ქეცბას ხსოვნას

ცნობამ სვეტლანას გარდაცვალების შესახებ შეგვძრა ყველა, ვინც ვიცნობდით მის ცხოვრებას და მოღვაწეობას განათლების, ხელოვნებისა და კულტურის სფეროში. სოხუმში და, ცნობილი მოვლენების შემდეგ, თბილისში მან თავი გამოიჩინა, როგორც არაჩვეულებრივმა პედაგოგ-მუსიკისმცოდნემ, როგორც ხელმძღვანელ-ორგანიზატორმა...

მიგვატოვა პიროვნებამ, რომელიც იყო არა მარტო თავისი ოჯახის, არამედ მთელი ქართველი ხალხის სიამაყე. ოჯახი, სადაც იგი გაიზარდა, აფხაზეთის ელიტას მიეკუთვნებოდა. ამ ოჯახში გაზრდილი, შემდგომ აფხაზური ინტელიგენციის მისაბაძი და საუკეთესო წარმომადგენელი იყო. სოხუმში მან მრავალი ნიჭიერი ბავშვი აღზარდა, რომლებიც ღირსეულად გადასცემენ მიღებულ ცოდნას შემდგომ თაობებს და აგრძელებენ მუშაობას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე დაუღალავად იღვწოდა თავისი ხალხის და საქართველოში მცხოვრები ხალხების კულტურის შენახვა-განვითარებისათვის.

სვეტლანა სულიერად მდიდარი ადამიანი იყო და მისი გარეგნული სილამაზე სრულად შეესატყვისებოდა მის შინაგან სამყაროს. მისი ხელმძღვანელობით ვმუშაობდით სასწავლებელში. და მთელი ეს წლები ის იჩენდა ყველას მიმართ სათანადო ყურადღებასა და მზრუნველობას. მას შეეძლო მძიმე წუთებში ადამიანებისათვის თანაგრძნობის გაწევა. ყველას, ვინც მას ვიცნობდით, ის ძალიან დაგვაკლდა.

იაშარ იმანოვი,
დირიჟორი,
აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახალხო არტისტი

ნაზი ჟანტურია,
ბაქოს კონსერვატორიის დოცენტი

# მარადიულობისთვის ჩაღვენთილი სანთელი

ჩემთვის ქალბატონი სვეტლანა ქეცბა ყოველთვის იყო კდემამოსილი, მოკრძალებული, აფხაზი ქალის განსახიერება.

ის იყო ნათელი სულის, ღრმად ერუდირებული, უკეთილშობილესი ქალბატონი. ამიტომაც, ყველას, ვინც მას იცნობდა, ასე დაწყვიტა გული მისმა გარდაცვალებამ.

ქალბატონ ლანას (ახლობლები მას ასე უწოდებდნენ) დიდხანს უნდა ეცოცხლა - ასე გვეგონა ყველას, რადგანაც მისი ასაკი, აფხაზი უხუცესების ასაკთან შედარებით არ იყო დიდი და გარდა ამისა, ეს მომხიბვლელი ქალბატონი ყოველთვის შესანიშნავად გამოიყურებოდა. თანაც ის, იმ იშვიათი ადამიანების რიგს მიეკუთვნებოდა, რომლებიც ყოველთვის ცდილობენ, რომ თავიანთი პრობლემებით, ჯანმრთლეობასთან დაკავშირებული საკითხებით არავინ შეაწუხონ.

ჩემს მოგონებებში ქალბატონი მარად დარჩება მომღიმარ, ულამაზეს ქალბატონად, რომელიც ასე ჰგავდა მის მშობლიურ ქალაქს - ქალაქ სოხუმს.

რაც შეეხება სოხუმს, ტრაგიკული, ბედუკუღმართობის მიზეზით მას მეოთხედ საუკუნეზე მეტი ხნით თვალითაც არ ენახა.

ამიტომაც ეს შესანიშნავი ქალბატონი გულით დიდ სევდას ატარებდა. თუმცა, თავის სულიერ ტკივილზე საუბარი არ უყვარდა.

ქალბატონი ლანა კულტურისა და სულიერების სამყაროდან მოგვევლინა. ის ყოველთვის ემიჯნებოდა მძაფრ პოლიტიკურ დაპირისპირებას. იმავდროულად, ყოველთვის სწამდა, რომ აფხაზებისა და ქართველების შერიგების, მათი საერთო ენის გამონახვის უპირველესი გზა სულიერება, კულტურა, თანაგრძნობა, ერთმანეთის გასაჭირის გაზიარება და სიყვარულია.

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, მშობლიურ ქალაქში დაბრუნებული მუდამ კულტურას და ადამიანთა შორის ურთიერთობის გათბობას ემსახურებოდა.

მიაჩნდა, რომ რელიგიური კონფესიები სხვადასხვაა, მაგრამ მათ აერთიანებს უდიდესი ფასეულობა, სულიერება. სწორედ ამ უმაღლესი ფასეულობის მსახური გახლდათ მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში უკეთილშობილესი ქალბატონი ლანა.

გურამ ოდიშარია
მწერალი

## სვეტლანა ქეცბას ხსოვნას

# სწორი გზა

გამკობდა ჯილდო-წმინდა სულის ოქროს ორდენი,
სახელიც გქონდა ყოვლად წმინდა, შეუბღალავი!
ხსოვნაც დარჩება - ჭირთა შიგან უხმო მოთმენით,
და მზის გვირგვინით შეიმკობა შენი საფლავი!

ცას ანგელოზად მოევლინე, ცაში ახედვით!
არ შეგილახავს ძმობის ფიცი, ისე წახვედი,
აფხაზი იყავ, და ქართულ ცას სხივებს მატებდი,
მუსიკა იყავ, და შავი ზღვის ტალღებს ამხელდი!

ვერ დაგიტირე, ვერ მოგაგე ბოლო პატივი,
ვიცი, შემინდობ, რადგან შენ ხომ მტერიც დაინდე!
თუ გაწყენინეს, სხვების ნაცვლად, მე მაპატიე,
მოვალ და წმინდა ცრემლის ნიშნად, იებს დაგინთებ!

მახსოვს, ტკივილზე საუბარში ღამეს ვათევდით-
არევიათო ძმებს, სახლისკენ, მისამართები!
რა მძიმე იყო დარდის ტვირთი, ვეღარ სათრევი,
დღეს კი მსუბუქად, კვლავ სწორი გზით მიემართები!

მზია ხეთაგური
2018 წლის 11 იანვარი

შეხვედრა საქართველოში ბაირონის საზოგადოების პრეზიდენტ ინესა მერაბიშვილთან, 2012 წ.

მანაბა მაგომედოვა სტუდრად ცენტრში, 2008 წ.

მაცხოვრის საფლავზე ანთებული სანთელი. ფილმის ჩვენება, 2012 წ.

ვაჟა აზარაშვილისა და გენო კალანდიას რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიით დაჯილდოების აღნიშვნა, 2013 წ..

სოხუმელების შეკრება ცენტრის ოფისში, 2009 წ.

თენგიზ ამირეჯიბის კლასის კონცერტის შემდეგ, 2010 წ.

ოპერა "აბესალომ და ეთერის" პრემიერის 90 წლისთავი, ფალიაშვილის მუზეუმი. 2009

ხელოვანები დევნილებთან . 2015

შეხვედრა მამა ადამთან წმინდა ანდრია პირველწოდებულის ჯვრის ორდენით დაჯილდოების გამო. 2016 წ,

**შინდისის წმ. თამარ მეფის სახელობის დედათა მონასტერი,**
**მიწქმის სახელობის ეკლესია**

ISSN 2298-0865
9 772298 086004 >

სარედაქციო კოლეგია: ირინა ქეცბა, დეკანოზი ბიძინა (გუნია),
ლია სეხნიაშვილი, ნოდარ სილაგაძე,
პასუხისმგებელი რედაქტორი ციცინო ჯულუხიძე

სსიპ „სულიერებისა და კულტურის ცენტრი“
მისამართი: თბილისი, თოფურიას ქ. №12, ტელ.: 231-51-30, 599-05-96-11. ტირაჟი: 500 ცალი